

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №5

25/12/2019 წელი

ქ. ბათუმი

14<sup>00</sup> საათი.

**სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

**სხდომას ესწრებოდნენ:** გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, რამაზ გოლომანიძე, ზურაბ გოლიაძე და თორნიკე მჭავანაძე.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგის პროექტი:**

**1. დადგენილება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №7 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

**2. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

**3. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

**4. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

**5. სხვადასხვა.**

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 6;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

**დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**

**1. დადგენილება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №7 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;

**2. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

**3. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

**4. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;

**5. სხვადასხვა.**

**1. დადგენილება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №7 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

**მოისმინეს:**

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №7 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:**

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19

მაისის №7 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ დადგენილების პროექტი დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

**მიღებულია დადგენილება:**

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** ძალადაკარგულად ჩაითვალოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საექსპორტო-კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №7 დადგენილება (გაზეთი „აჭარა“ 23.05.2006 წ. №91).

**მუხლი 2.** ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**2. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

**მოისმინეს:**

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების

შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონით უსკო-ზე დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად, უსკო-ს მიერ დამტკიცებული უნდა იქნას 2020 წლის მიმდინარე ხარჯები და 2020 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებისათვის გამოყოფილი ხარჯები. სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, მოკლედ გააცნო მომავალი წლის მიმდინარე და 2020 წლის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ხარჯები (ხარჯთაღრიცხვა).

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 6;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

**მიღებულია განკარგულება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის ხარჯთაღრიცხვა, დანართის შესაბამისად.
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლის დღიდან.

*(თან ერთვის)*

### **3. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

#### **მოისმინეს:**

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიას დეტალურად გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უსკოს 2020 წლის ბიუჯეტით შრომის ანაზღაურების მუხლი იზრდება, რაც იძლევა საშუალებას საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ უსკოს აპარატის თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების გაზრდას. მისი განცხადებით, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უსკოს აპარატის თანამშრომლებს შრომის ანაზღაურების ოდენობები შესაბამისობაშია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ სტანდარტებთან. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უსკოს აპარატის თანამშრომლებისთვის თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტები კონკრეტული რანგის, თანამდებობრივი იერარქიის, შესაბამისობის მიხედვით განისაზღვრა.

#### **აზრი გამოთქვეს:**

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 6;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

**განკარგულება მიღებულია:**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა სამტატო ნუსხა დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2018 წლის 27 აგვისტოს №6 განკარგულება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალაში შესვლის დღიდან.

*(თან ერთვის)*

**4. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

**მოისმინეს:**

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი და განაცხადა, რომ 2020 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამოქმედო გეგმა განხილული და შემუშავებულია უსკოს წევრებისა და უსკოს სტრუქტურული ერთეულების მიერ სამუშაო ფორმატში ერთობლივი მუშაობის შედეგად. ასევე აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმა წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხედვას 2020 წლისთვის განსახორციელებელი საქმიანობებისა და დასახული მიზნების შესახებ.

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 6;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი:)

**მიღებულია განკარგულება:**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.  
*(თან ერთვის)*

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი

პარმენ ჯალაღონია

სოფიო კახაძე